

დრეკადობის თეორიის სასაზღვრო ამოცანები ნახევარელიფსისათვის ფოკუსებს შორის მონაკვეთზე არაერთგვაროვანი სასაზღვრო პირობებით

ნ. ზირაქაშვილი

განიხილება დრეკადობის თეორიის სასაზღვრო ამოცანები ნახევარელიფსისათვის, როდესაც ფოკუსებს შორის მონაკვეთზე არანულოვანი პირობებია, ხოლო ფოკუსებს გარეთ მონაკვეთებზე ნულოვანი პირობებია მოცემული. ამრიგად, წრფივი საზღვრის ნაწილზე მოცემულია ამოცანის ამონახსნის უწყვეტად გაგრძელების პირობები, ამიტომ შეიძლება ნახევარელიფსის მთლიან ელიფსად შეკვრა, რომელშიც ფოკუსებს შორის მონაკვეთზე არ სრულდება უწყვეტად გაგრძელების პირობები, ე.ი. გვაქვს ბზარი, რომელზეც მოდებულია, მაგალითად, მხები ძაბვა. ამ ამოცანის ამოხსნა დაიყვანება ელიფსისათვის დრეკადობის თეორიის შიგა და გარე ამოცანების ამოხსნაზე, რომლებიც საკმაოდ მარტივად იხსნება ცვლადთა განცალგების მეთოდით.